



ქაშვი

1991
საგზაო
12
თავაზალი
№18 (1041)
ზახი 5

საქართველოს
პრესის ცენტრი
ბიზნის ცენტრი

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებისა და მედალების, საპრეტველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის სტატუტი

დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ კანონპროექტის თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
1. გამოქვეყნდეს პრესაში სახალხო განხილვისათვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კულტურის, განათლებისა და მეცნიერების მუდმივი კომისიის მიერ მომზადებული კანონპროექტი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ.
2. გამოცხადდეს კონკურსი სახელმწიფო ჯილდოების (ორდენები, მედალები, საპატიო წოდების ნიშანი, საპატიო სიგელი) ნიმუშების შესაქმნელად.
3. შემოადინდეს კომისიამ გააანალიზოს განხილვის დროს შემოსული წინადადებები და შესწორებული კანონპროექტი განსახილველად წარმოადგინოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში 1991 წლის 1 მარტამდე.
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**.
თბილისი, 1991 წლის 1 თებერვალი.

1. საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც განსაკუთრებული პირადი წვლილი მიუძღვით საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აღორძინების, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, ქართული მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარების საქმეში, დაწესებულია:

სახელმწიფო ორდენები და მედალები:
დავით აღმაშენებლის ორდენი—პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის:
ილია მართლის ორდენი;
მედალი „მამულის სამსახურისათვის“;
მედალი „მხედრული მამაცობისათვის“.
საპატიო სიგელი
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.

2. დავით აღმაშენებლის პირველი ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღორძინების საქმეში შეტანილი უთვისაჩინოვებელი პირადი წვლილისათვის.

3. დავით აღმაშენებლის მეორე ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის, უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების სფეროს განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

4. ილია-მართლის ორდენით ჯილდოვდებიან მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების უთვისაჩინოვებელი წარმომადგენლები და სასულიერო პირნი საქართველოს სულიერ და კულტურულ სავანაში შეტანილი უდიდესი წვლილის, ხალხის საყოველთაო აღიარებისა და პატივისცემის მოპოვებისათვის.

5. მედალით „მამულის სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებში განსაკუთრებული დამსახურებისა და უმწიკვლო სამსახურის, ქართველი ხალხის ყოვლად აღორძინების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

6. მედალით „მხედრული მამაცობისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურების, ქართული მილიციის


მუშაკები და ცალკეული მოქალაქენი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის საქმეში, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების დროს და საგანგებო ვითარებაში გამოჩენილი პირადი მამაცობისა და ქართველი ერის წინაშე სხვა საბრძოლო დამსახურებისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედალებით დაჯილდოება შეიძლება სიკვდილმემდგომად.

8. „ქართველის დედის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი, ამასთან, თუ ბოლო შვილს შეუსრულდა ერთი წელი მაინც, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მალალი ზნეობის, შრომისმოყვარე შეილებს.

9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში შეტანილი დიდი წვლილის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და შრომითი საქმიანობის სხვა სფეროებში ხანგრძლივი უმწიკვლო სამსახურისათვის, უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, სამხედრო მოსამსახურენი—საუკეთესო საბრძოლო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით შეიძლება დაჯილდოვდნენ აგრეთვე უცხოელი მოქალაქენი და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არმქონე პირები ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.



ეს დღეები სოფლად

შარშანდელზე მეტი

ყულიშკარის კოლმეურნეობის იჯარული ბრიგადები დროზე შეუდგნენ მინდვრის სამუშაოების შესრულებას. როგორც კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა პ. თოდუამ ჩვენს სპეციალურ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, მიუხედავად არახელსაყრელი ამინდებისა, 187 ჰექტარიდან ჩაის პლანტაციების გადაბარვა-გაფხვიერება ჩატარდა 87 ჰექტარზე, მინერალური სასუქები კი შეტანილია 80 ჰექტარზე. გრძელდება ნიადაგის გაწმენდა ანარჩენებისაგან. პირველი ზენა და წყალსაწრეტების ამოწმენდა.

ყურადღება ექცევა პირუტყვის უზენადად გამოზამთრებას. კოლმეურნეობის საქონელი უზრუნველყოფილია საკვებით. გაუმჯობესდა მოვლა, ამიტომ შედეგაც კარგია. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ყოველდღე სახელმწიფოს ბარდება 80 ლიტრით მეტი რძე.

ახლა ყულიშკარელი მეცხოველეები ყოველ დღეს ხმარობენ იმისათვის, რომ წარმატებით შეინარჩუნონ სამეურნეო წლის დაწყებიდანვე აღებული ტემპი, უზრუნველყონ რძის და ხორცის როგორც წარმოების, ისე სახელმწიფოსათვის მიყიდვის პირველი კვარტალის დეჟალეების შესრულება.

პროექტი საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები:
ორდენები და მედალები:
დავით აღმაშენებლის ორდენი—პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის;
ილია მართლის ორდენი;
მედალი „მამულის სამსახურისათვის“;
მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;
საპატიო წოდება
„ქართველის დედა“.
საპატიო სიგელი
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.
2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებისა და მედალების, საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის სტატუტი.
3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დასამზადებლად ხარჯების გამოყოფის საკითხი.
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება თ. ო. ჟორჟოლიანისა და ზუგდიდის რაიონის პრეზიდიუმის დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
დანიშნოს თამაზ თმარის ძე ჟორჟოლიანი ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეზიდიუმად.
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**.
თბილისი, 1991 წლის 4 თებერვალი

ახლა განვი დგომა ღალატის ტოლფასია

როგორც არასდროს, ახლა სჭირდება საქართველოს პატრიოტობა, როგორც არასდროს, ახლა გვეჭირდება ურთიერთთანადგობა, მიუხედავად ეროვნებისა, ასაკისა თუ სოციალურა მდგომარეობისა.

ახლა საქართველო სოფლები კაცის მარჯვენა, რათა ფიზიკურად მომადგებულმა საქართველომ შეძლოს ყველა ჯურის მტრის მოგერიება. ყველას ვეძარბებ ხვალინდელ დღეზე ფიქრი, ხვალინდელი დღე ჩვენი შვილებისა და შვილიშვილებისა, არ უნდა შენედე და მოუვიდებლობისათვის ბრძოლა. დასამალი არაა, ბევრი ხვალინდელ დღეს იმედგაცრუებით უყურებს. მათ საუბრადღებოდ კითხვი, რომ რაიმედ დღის წინ მოხულა დღევანდელი საქართველოს ხელისუფლება ამ იმპერიის ხახის შემსურვე მოსვლისთანავე ციდან ვარსკვლავებს მოგვიწყვტება და სიმდიდრეს დაგვიზღუბება? ვინც ახე ფიქრობს, შემცდარია და გონებადასშული თანისთავად არაფერი მოდის. თუ შენი სურვილით არჩეული მთავრობა გინდა, მაშინ მის

გვერდის ხელმძღვანელებულა უნდა იდგე, რათა შენი ბედნიერი მერმისი შენი მარჯვენით შექმნა. ჩვენი, სოფლის მშრომელთა განსაკუთრებული-ვალია, ქველ-აფერი გაუკეთოთ იმისათვის.

ეს, მაშინ სულ უახლოეს პერიოდში გარჯა დაფასდება. მიწა მადლიანი და ღონიერი, კლიმატი შესაშური, ოღონდ შრომა არ დავიწაროთ და რა არ მოვა ჩვენს მიწაზე. დრო არ ითმენს, მინდორი მუშახელს ელოდება, სოფლის ხელმძღვანე-

მთავარია გლეხს ჰქონდეს შრომისგან სარფი. ნამეტს ის ბედელში არ დაალოხოს, გაიტანს და ქალაქში გაყიდოს. ამის გარანტიას იძლევა იჯარული შრომითი ურთიერთობა. ამ მხრივ საწყისი გამოცდილება ახალსოფლებს გვაქვს, თუმც სასაყვედუროც გვაქვს.

ახალსოფლებში, როგორც მტკიცედ სწამთ საქართველოს უკეთესი მომავლისა, გაფაციცებით ემზადებიან მიმდინარე წლის მოსავლის საფუძვლის ჩაყრისათვის. გაუგებრობებს ჩვენთანაც ქონდა ადგილი, მაგრამ ვფიქრობთ წინააღმდეგობაში დაძლეულია და ყველა ახალსოფლები ამინდის დადგომისთანავე მიაშურებს მინდორს, უფრო განვითარებს საიჯარო ურთიერთობას.

დღენისათვის ერთწლიანებისთვის ფართობები უკვე მოიხნა, მრავალწლიან უმეტეს პლანტაციებში ფოსფორიანი სასუქები შეტანილია, ჩაის პლანტაციების ნაწილი გაფხვიერებულია, ვმარაგდებით აზოტოვანი სასუქებით, გვაქვს სიმინდის მაღალკონსიტიური თესლი. თუმც გვიჭირს მეცხოველეობის შენარჩუნება, მაგრამ იმედია, ახალი ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ჩვე დავვიბრუნებთ დღინდის ზონაში მიწები, რაც მეცხოველეობის საიჯარო პრინციპით განხლებას უზრუნველყოფს. კლიმენტი კიკალიშვილი, ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

მინდორი მუშახელს ელოდება

რათა მეტი სიმინდი და ლობიო გვექონდეს რესპუბლიკის ბედელში, მეტი ციტრუსი და სურქენი, მეტი ჩაი და რძე, ხორცი. აი, ეს იქნებოდა რესპუბლიკის ახალი მთავრობის მხარში ამოღებოდა, ეს იქნებოდა ჩვენი საბრძოლო უშუბარა.

დღევანდელ სიტუაციაში ფერმების მოუღებლობა, პლანტაციების უყურადღებოდ მიგდება ისედაც დაუძღვრებული საქართველოს სრულ განიარაღებას ნიშნავს. თუ მივალწიეთ იმას, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნ-

ლმა მუშაკებმა კი ყველაფერა უნდა ვიღონოთ იმისათვის, რათა გლეხს ჰქონდეს იმის გარანტია, რომ მისი მარჯვენა დაფასდება, ხოლო ამ მარჯვენის მოწოდებით ოჯახი უზრუნველყოფილი იქნება. მუშახელი მინდორში რომ გავა, მას გულს ეკვის ქია არ უნდა ჯღრღნიდეს, ვითუ, ოჯახი ვერ გამოვკვებო. რა დასამალია, და ახე იყო უწინ. ბევრს ვართმევდით მუშაკებს, და ცოტას ვაძლევდით, იმიტომაც უგულვოდ მუშაობდა. რადგან საქართველოს სიძლიერე ქართული სოფლიდან იწყება,

რძე და ხორცი გაცილებით მეტი გვექნებოდა, დღინდის ზონაში ჩვენზე გამოყოფილი 150 ჰექტარი მიწა რომ არ ჩამოერთმიათ, უპატრონოდ არ მიეგდოთ, ვითომ მოსახლეობის პირუტყვის საძოვრად. აქ მაღალი კატეგორიის მიწები დაბალ კატეგორიაში იქნა გადაყვანილი. ამაზე მეტი უთავობა და საქმისადმი არამეურნეობრივი დამოკიდებულება გავიწილა? იმედი გვაქვს, მსგავს მოვლენებს შემდგომში არ ექნება ადგილი, რათა ყოველი გოჯი მიწა რაციონალურად იყოს გამოყენებული.

თანამედროვე რთულ, უადრესად დაძაბულ საზოგადოებრივ პოლიტიკური ცხოვრების პირობებში სულ უფრო მეტად იგრძნობა პოლიტიკის შესახებ ჭეშმარიტი მტკიცებების საჭიროება საზოგადოების ფართო ფენების-

ნავე ასოციაციაში გაერთიანდნენ უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის, იურიდიული, ეკონომიკის, უურნალისტიკის ფაკულტეტების და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები. ასო-

დმიტრი იაზოვისა და ბორის პუგოს 1990 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებამ ქუჩების სამხედროების მიერ პატრულირების შესახებ, რამელიც ძალაშია მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან, საქართველოში მცხოვრები ყველა კეთილი ნების და სალი გონების მქონე ადამიანთა სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. სავსებით ობიექტურია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს

მეორე ამ ბრძანების მოქმედების შეჩერება ჩვენა რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გვესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი, შინაგანი სამსახურის ლეიტენანტი დურმიშხან კიმისტარიაშვილი

საზოგადოებრიობის ფართი მხარდაჭერით

ათვის. ეს განპირობებულია ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე იმ ფუნდამენტური ცვლილებებით, რომელიც არჩეულად ყველაზე პოლიტიკური ცხოვრება. საზოგადოების დემოკრატიკის, ეროვნულ-განათლებლური მოძრაობის აღმშენებელი, პოლიტიკური ცხოვრების გაქტიურებამ მნიშვნელოვნად, გაზარდა ინტერესი პოლიტიკისადმი და საერთოდ საზოგადოებრივ პოლიტიკური მეცნიერებისადმი. ამ ფონზე უადრესად თვალში საცემია პოლიტიკის შესახებ მეცნიერული ცოდნის დეფიციტი, რომელიც განპირობებულია სკოლი, დასაუბრებით, სკოლატიკური-იდეოლოგიური დოგმების მრავალწლიანი ტყვეობაში ყოფნის გამო, სწორედ ამის გამო სასწრაფოდ უნდა იქნას დაძლიებული პოლიტიკური მეცნიერების ჩამორჩენა, რომლის განვითარებაც ათწლეულების მანძილზე ხელგონურად ფერხდებოდა.

პოლიტიკური მეცნიერებისადმი მზარდი ინტერესის გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის შექმნა 1990 წლის ნოემბერში. მისი შექმნის ინიციატორები იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტების სტუდენტები, რომელთაც სურთ თავიანთ სპეციალობად არჩიონ პოლიტიკური მეცნიერება. დაფუძნებისთ-

—ასოლუტურად გამართლებულია ჩვენი რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 30 იანვრის სესიის გადაწყვეტილება სსრ კავშირის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრთა ერთობლივი ბრძანების მოქმედების შეჩერების შესახებ. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უნდა ემსახურებოდეს ის ორგანო, რომელიც ამ საქმისათვის არის მოწოდებული— მილიცია, დიან, მხოლოდ და მხოლოდ მილიცია. რა დასამალია, რომ სამხედროებთან ერთად პატრულირება ბევრ ქსესებს გამოიწვევს. აბა, გავისვენოთ თბილისში კომენდანტის საათის სუსხი. საქართველოში დღეს შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით სრულიად საკმარისად მიმჩნია ქართული მილიციის მზადყოფნა მოსახლეობის დასაცავად. რაც შეეხება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფად საკავშირო ხელისუფალთა ბრძანებით გამოცხადებული

წესრიგს ჩვენვე დავამყარებთ

დონისიციის ფაქტობრივად, ეს არის ქვეყანაში საგანგებო წესების აფორდების ტოლფასია. სსრ კავშირის კანონში „აღასგებო წესების საბოლოო იურიდიული სტატუსის შეფასებზე“, ათორავს როგორც ნათქვამი, რომ საგანგებო წესებს იღებენ სტიქიური უბედურების, დიდი ავარიების ან კატასტროფების, ეპიდემიების, ეპიზოტების, აგრეთვე ცალკეულ რაიონებში მასობრივ უწესრიგობის დროს, რომელსაც აცხადებენ რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები ან სსრ კავშირის პრეზიდენტი ამ ორგანოების თხოვნით, ან თუ მათი მხრივ არ არის თხოვნა ან თანხმობა, თვით სსრ კავშირის პრეზიდენტი. მაგრამ ამ შემთხვევაში ზემოთხსენებული ბრძანების ავტორთა ერთიანი მისწრაფება იმედი მედონ სსრ კავშირის კონსტიტუ-

ციის, ძირითადი სამხედრო კანონების გვერდის ავლით და სამსახურებრივ უფლებამოსილებათა გახსნაზე გულგრილი გადაყვებით. ყოველივე ეს კი უხედავ არღვევს ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების აქტებს და სუვერენული რესპუბლიკების სახელმწიფო კანონებს ეყრდნობა. უფრო მეტიც, ასეთ უნადავო მოქმედებას შეუძლია პროვოკაციულად გამოიწვიოს ან გააძლიეროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაცია მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე. ვიმეორებ, რესპუბლიკაში მართლწესრიგი მინაგან საქმეთა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ და ამ საქმეში ჩვენ მხარში უნდა ამოვიდგეს მთელი ხალხი, აღნიშნა დურმიშხან კიმისტარიაშვილი. ესაუბრა თამაზ როგავა.

ლური პოლიტიკური მეცნიერების მიღწევების ათვისებას. ამ მიზნით განზრახულია ასოციაციის ძალებით სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნა. ასევე ასოციაციის წევრების გაგზავნა დასავლეთის ქვეყნების სხვადასხვა უნივერსიტეტებში, ამ მხრივ ასოციაციას აქვს გარკვეული წინასწარი მოლაპარაკებები, ყოველივე ზემოთქმულის გარდა, ასოციაცია ხელს შეუწყობს პოლიტიკური ცოდნის გავრცელებასა და პოლიტიკური კულტურის ამაღლებას ქართველი საზოგადოების ფართო ფენებში. ვინაიდან ასოციაციაში გაერთი-

ანებულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წევრები, ასოციაცია შეძლებს დაგვარად შეასრულებს პარტიათა შორის თავისებური შუამავლის ფუნქციასაც და ხელს შეუწყობს საქართველოში საყოველთაო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევას, რისთვისაც ახე მისწრაფვის დღეს ჩვენი საზოგადოება. კორნელი პაპაჩია, საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის სპიკერი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი.

სასიძოვნი მისმართავენ... რა იქ იქ მს დონბასში სკკ აღიქმანდროსკის რაიკომმა სასამსახურო მანქანების იჯარით გაცემა დაიწყო. მანქანებს იყენებენ ქორწილებსა და სხვა საოჯახო ზეიმების მომსახურებისათვის, ხოლო სატვირთო ტრანსპორტს სამუშაო დღეებში ადგილობრივ საწარმოთა შეკვეთების შესასრულებლად. ასეთ კომერციულ საქმიანობას ეწვეიან აგრეთვე ამ ინდუსტრიული მხარის სხვა საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები. საკამსი.

სადაურსა სად წაიყვან...

კლიმენტ მამფორია ერთმა ჩემსა ნეგობარმა გამაცნო: ერთ სახლში ვცხოვრობთ, ხანტერ-ესო ბიოგრაფიის კაცია, გე-საუბრე და თავად დარწმუნ-დებიო.

იქვეში ოდნავ მოხრილმა, ხმელ-ხმელმა მოხუცმა ხელი ესერგოულად ჩამომართვა, კეთი-ლი მწერით შემთავალიერა და იცოცხლე, შვილოო, ჩაი-ლაპარაკა.

ვეებერთელა ცაცხვის ჩრდილ-ქვეშ ვიდექით. ირგვლივ სალხის ტევა არ იყო. ილია ქავკავაძის ძეგლთან მოშმიშლილები ისხდ-ნენ. მიკროფონთან ორატორი ორატორს ცვლიდა. მ აპრილის ტრაგედით გულდასეტყვული ადამიანები, ფორმალეები თუ არაფორმალეები, დიდი თუ პა-ტარა დელავდა; ბობოქრობდა, ფესზე იდგა მთელი ზუგდიდი, იქ, თბილისში კი ქვაფენილს ჭერაც ეცხო ქარველ დელა-თა სისხლი, საავადმყოფოებში სიკვდილს ებრძოდა საბჭოთა ჭარბსკაცების მიერ დაჩხილ-მონქმული ასობით ადამიანი...

...კლიმენტ მამფორიამ ჩალის-ფერი, მოკლესახელოებიანი ხალ-ათის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო. მე ასანთი შევაგებე. მოუკიდა, თუთუნის კვამლი დრმად ჩაისუ-ნოქა.

—ეს რა ქნეს, რა შავი გაზაფხული გავვითენეს ეშპაის სოციალულებმა,— სიტყვებს გუ-ლი ამოაუკლა მოხუცმა.—დამი-ჭრეთ, ასე აშკარად და მუხა-ნათურად თვით პირმავ სტა-ლინსაც არ დაუხოცია საკუ-თარი ხალხი თანაც უტოფოად გაპყვირანს, ყველაზე დიდი აუშმახსტები, კაცთმოყვარენი და ჩაგრულთა ქომავნი ჩვენა ვართ, საბჭოთა კომუნისტებიო!

—კი, გააყვირან, მაგრამ არა მგონია დღეს ვინმეს სჭეროდეს ამ ზღაპრის,— ვთქვი მე.

—თქვენ ასე გგონიათ? მე კი ვფიქრობ, რომ ჭერ კიდევ ბევრს სჭერა, ბრმად სწამს სოციალის-ტური სისტემის კეთილშობილე-ბისა. თევზი თავიდან უროდღე-ბათ, ისე, ხალხის მოტყუება უფრო ადვილი იყო აღრეულ წლებში, ვიდრე ახლა. რეპრეს-ირებულის მისევე ხვედრი, სხვა მილიონთა მსგავსად, მეც ვიყ-ვნიე. კაცმა რომ თქვას, დაბე-ჭობით დღესაც ვერ ავიხს-ნით რისთვის დამიჭირეს, რა დავაშავე, რატომ გამჭირეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ მე მაშინ, საპატირო ბანაკებში თორმეტ წელიწადს ტანჯვა-გვიმის შემდე-გაც, ვერა და ვერ დამეჭე-რებინა ამ ჯოჯოხეთური, კა-ციპამია მანქანის მთავარი კონ-სტრუქტორი „ხალხთა ბელადი“ გახლდათ, რომ საბჭოთა მთავ-რობის „ლოცვა-კურთხევით“, ლენინური პარტიის სახელით ხვრეტდნენ, აციმბირებდნენ, პი-რუტუვად აქცევდნენ მილიონო-ბით უდანაშაულო ადამიანს. სამწუხაროდ, ამას გვიან მივხვ-დი. ალბათ, ბევრ სხვასაც გვიან აუხილა თვალი. მერედა რა შეი-ცვალა ამით? თითქმის არაფე-რი. ისევ იდგრება უმანკო სის-ხლი!

ცამდე მართალი იყო მოხუცი.

მერე კიდევ ცოტა ხანს ვისა-უბრეთ. წასვლა რომ დაპი-რა, ვთხოვე: უფრო ვრცლად მიახმეთ თქვენს შესახებ, და თუ არ შეწყნებებით, ხვალ შევხვ-დეთ რედაქციაში-მეთქი. დამთ-ანხმა.

ორმოცდარვა წელი უსამუშოოდ

მეორე დღეს დიდხანს, დად-ხანს ვისაუბრეთ. შეკითხვებზე ხალხით მასსუბობდა. ჩემს წინ იყო ადამიანი, რომელსაც არა-ერთხელ ჩაუხვდია სიკვდილი-სათვის თვალეში, მაგრამ სულიერად არ დაცემულა, რა-ღაც მანქანებით ფიზიკური სისხნევეც შეენარჩუნებინა.

—წარმოშობით ჩხოროწყუს რაიონის სოფელ გარახადან ვარ. —მიამბობდა იგი,—დავბადებუ-ლვარ გლენის ოჯახში 1918 წელს, საშუალო სკოლის და-მთავრების შემდეგ, სწავლა განვაგრძე ჩხოროწყუს ახ-ლადგახსნილ პედაგოგიურ ტექ-ნიკუმიში. 1938 წელს, როდესაც გამოსაშვებ გამოცდის ვაიარე-ბლით და ის იყო დიპლო-მი უნდა მიგველო, დამით ჩე-კისტებმა დაგვაპატიმრეს საბი-მოსწავლედ და ჩავსვენეს ჩხორო-წყუს შინსაკომის ორსართული-ანი შენობის სარდაფის ცალ-ცალკე საკნებში. გამოძიების დამთავრებამდე არ ვიცოდი ჩემს გარდა ვინ იყო დაქერი ლი.

—305 იპო ის ორი?
—თანაკურსელი ბიჭები—შალვა ზედანია და ვლადიმერ ფიჩხაია. სხვათაშორის, ვლადიმერ ფიჩხა-იას მამა 1924 წელს დახვ-რიტეს ბოლშევიკებმა ცნობილ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. დაკითხვაზე გვიან დამით მივ-უჯვდიო. გამოძიებულს —ერმინე ციმინტიას რევოლუციური ელო მაგიდაზე, შეშინებასა და მუქა-რას არ ერიდებოდა.

—ბინძვ რაში გდებდნენ ბრალს, რა უნდოდათ?
—გვადანაშაულებდნენ ანტისა-ბჭოთა ჯგუფის შექმნაში, რაც მტკნარი სიცრუე იყო. უბრალო-დ, ჩვენ სამაი ვცდაც წნედა-ცემულის მიერ შეთითხნილი ცილისწამებისა და ბეზღობის მსხვერპლნი გავხდით. თურმე, ვითომდა, ჩვენს ისტორიის მასწავლებელს გაკვეთილის ახს-ნისას უთქვამს, რომ ტროცკი-სტებმა, ხალხის მტრების საზი-ზღარმა ჯგუფმა მოკლაო კი-ოვი. კომკავშირელ ზალვა ზედა-ნიას უკითხავს მასწავლებლისა-თვის, რატომ უწოდებთო კირო-ვის მკვლელებს „საზიზღარი ჯგუფი“ ვილაცას „დანოსი“ უფ-რენია სადაც ჭერ არს, ზედა-ნიამ ასე და ასე თქვაო. გო-ნებადახუშულ ჩეკისტებსაც სხვა რა უნდოდათ, მავნებელთა ჯგუფი მოქმედებდა და, რა-დგან ჩვენ სამი განსაკუთრე-ბით ახლოს ვიყავით ერთმა-ნეთთან, ადგენ და დავაჭირ-ეს. გამოძიებელი დაკითხვისას თითქმის ერთი და იგივე შეკ-ითხვას მაძლევდა: გაიგონე თუ

თბილისის ციხეში გვიკრეს თავი. რა დამიფიქრებს 1936 წლის 7 იანვარს. ამ დღეს მე და ჩემს მეგობრებს ანტისაბჭოთა პროპაგანდის ბრალდებით სამ-სამი წლით გადასახლება გამო-გვიცხადეს. მე კარელიაში მოვ-ხვდი, შალვა ზედანია ვიატკაში გადასახლეს, ხოლო ვლადიმერ ფიჩხაია დასავლეთ ციმბირში, სადაც უგზო-უკვლოდ დაიღუპა. კარელიაში მე ჩამსვენს კაცის მკვლელებთან, ბანდიტებთან, გა-მოსწორებელ დამნაშავეებთან, რომლებმაც ყველაფერი წამართ-ვეს, რაც კი აქედან წაღებ-ული შებადა. დღესაც მიკვირს, ცოცხალი როგორ გადავრჩი. რაც მე აქ საშინელება მინახავს, სი-ტყვა უძლურია მათ გადმოსა-ცემად...

1936 წლის ივნისის თვეში პატიმართა ჯგუფთან ერთად გა-დამიყვანეს თეთრი ზღვის კუნ-ძულ სოლოკაში. ამ უპაცრიელ, ხმელეთს მოწყვეტილ კუნძულ-საპურობილში იმ დროს პოლი-იტპატიმრები იხდიდნენ სას-ჯელს. ოქტომბერ-ნოემბრიდან მაისამდე სოლოკის გზა იხურე-ბოდა, წუდებოდა ნავიგაცია უნივერსის გამო. იმ დროს, მე რომ ჩამიყვანეს, კუნძულზე 4-5 ათასი პოლიტპატიმარი იყო. მეფის ხელისუფლების დროს სოლოკაში კატორღამისქილებს ასახლებდნენ. ვცხოვრობდით მი-წისქვეშა საკნებში, ფუნქციონი-რებდა იოდის მწარმოებელი ქა-რხანა, ითესებოდა კარტოფილი, გვემსახურებოდა მალაზია...

სოლოკაში სასჯელის—სამი წლის მოხდის შემდეგ მეგონა გამანთავისუფლებდნენ, მაგრამ ჩემი იმედი ამაო გამოდგა: მოს-კოვიდან მოვიდა საგანგებო ბრძანება ჩემთვის სასჯელის ხუთი წლით გაგრძელების შესა-ხებ. ასეთი ბედი ეწია ყველა იმათ, ვინც დღე-ღამეზე გა-ნთავისუფლებას მოელოდა.

1937 წელს ყველა პატიმარს მოგვიყარეს თავი და წავვიკით-ხეს კალინინის ხელმოწერილი ბრძანებულება, რომ სოლოკის თავისუფლად გადასახლებულთა ბანაკი გადაკეთებულიყო ციხედ. შემოიღეს სახტიკი რეე-იმი. შემდეგ თანდათან იწყეს კუნძულიდან ძველი პატიმრების გამოყვანა, ხოლო მათ ადგილს იკავებდნენ ახლადჩამოყვანილე-ბი, ანუ 20-25 წელიწად-მისჯილები. 1938 წელს მეც გადმომიყვანეს კუნძულიდან და ჩამიყვანეს კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ქალაქ უხტაში იყო საპატიმრო ზონა, ვმუშა-ობდით ნავთის სარეწებში, მიწის ქვეშ, ადამიანები ბუფე-ბივით იხოცებოდნენ აუტანელი პირობებისაგან, განსაკუთრებით —ომის მძიმე წლებში...

—იქ, სოლოკაში, ძარბო-ელეგი ბავრნი იყვნენ?
—უსხტად ვერ ვეტყვით, ისე იყვნენ, რა თქმა უნდა. მახ-სოვს პროფესორი მოსე გოგიბე-ერიძე, მისა მამფორია... მოსე გოგა ბერიძეს ჭერ კიდევ თბილისის ციხეში შევხვდი, მეორედ— 1937 წელს, სოლოკის საავა-დმყოფოში იწვა მომაკვდავი, ქლექი კირდა. დაუძლეურებულმა პროფესორმა ინატრა, ნეტავი დომი და ყველი მაქამაო... წვალებასა და ტანჯვაში დალია სული დიდებულმა ადამიანმა და მეცნიერმა. ჩვენ, ქართველებს გვინდოდა რამენაირად გვეკირი-სუფლა, საფლავისათვის მიწა მაინც გავეჭრა ჩვენი ხელებით, მაგრამ ციხის უფროსმა ნება არ დაგვართო ქრისტიანული ვალი მოგვხანდა ძვირფასი ცხე-დრის წინაშე...

...პო, სრული 12 წელი გვატარე იმ ჯოჯოხეთში. 1946 წელს როგორც იქნა გამანთავი-სუფლეს და ჩამოვედი მშობლ-იურ ჩხოროწყუში. უქმად ერთი დღეც არ ვყოფილვარ, კოლ-მეურნეობაში დავიწყე მუშაობა. 1947 წელს სიმინდის არნახული მოსავალი მოვიწიე და, როგორც იტყვიან, სოფელში მისაბამ და გამრჯე კაცად მრაცხდნენ. 1948 წელს იძულებით შეწვე-ტილი სწავლა განვაგრძე, ოჯა-ხიც შევქმენი და... შორჩა, კვლავ შავი წერტილი დაესვა

ჩემი ცხოვრების გზა-სავალს. 1949 წლის 2 თებერვალს, დილით კვლავ დამაპატიმრეს ჩეკისტებმა, მომაშორეს ატირე-ბულ ჯალაბობას, 14 თვის ვა-შიშვილს და თბილისის ციხეში მიკრეს თავი. დაპატიმრებიდან ოთხი თვის შემდეგ სამუდამო გადასახლების ქალაქზე მომა-წერინეს ხელი და ჩემისთანა 500 კაცთან ერთად, სატივრო მატარებლით გაგვიყენეს ციმბი-რის გზას. ჩავიყვანეს კრანსო-იარსკში. იქიდან სხვადასხვა რაიონებში გაგვანაწილეს.

ჩაყვანიდან მეორე თუ მესამე დღეს სტალინს გავუგზავნე ქა-რთულად დაწერილი ბარათი. ვწერდი, უდანაშაულოდ 12 წე-ლიწადი ვიჭექე ციხეში, ესეც არ მაკმარეს და ახლა სამუდამოდ გადასახლეს, მიშველე ბელა-დო-მეთქი.

ეს წერილი სტალინს არ უნახავს, პასუხი კი ერთ კვირ-აში მივიღე. იგი, ცხადია, რუ-სულად იყო დაწერილი: „პის-მო ოდრესოვანოე ნა იმია სტალინა პოლუჩენო კომენდა-ტუროო კრემლია, დელო ვაშე პერესმოტრენო, ვი ოსუდენი პრავილნო. სილიტე ი მოლჩიტე. სტარში სოვეტნიკ იუსტიციი—ტიუფავე“.

რა გაეწყობოდა? მეც ვიჭექე და ვდუმდი. მაგრამ ეს იძულ-ებული დუმილი ამჭერად სტა-ლინის სიკვდილმა დაარღვია. 1954 წლის აგვისტოს მომეცა უფლება სამშობლოში დაბრუნე-ბისა, მაგრამ მე დავრჩი. ამ დროისათვის კრანსოიარსკში ოჯახი მქონდა შექმნილი, მყავდა სამი შვილი, ვმუშაობდი რაიკა-ვშირის სავაქრო სისტემაში ბუ-ლალტრად. ბავშვები სკოლაში დადიოდნენ, მერე სამივემ ინსტიტუტი დაამთავრა. არც ისე ადვილი აღმოჩნდა სამშობლოს-ავან შორს. მაგრამ მაინც მუყდრო კერის მიტოვება... 1978 წელს პენსიაზე გავედი. მერე და მერე უფრო იმძლავრა ჩემში ნოსტალგია. მამაც, რომ-ელიც უზუგდილში ცხოვრობდა, ხშირად მწერდა ჩამოდიო. და აი, როგორც ხედავთ, გადაწყ-ვიტე—1988 წლიდან უზუგდილში ვცხოვრობ, სამოთახიანი ბინა მივიღე, დავასება და ყურადღე-ბა არ მაკლია...

—რა არის ამ ყვეანად ყვე-ლაზე ძვირფასი?
—ორი რამ, ჩემო ბატონო. სამშობლო და თავისუფლება! ჯანჯულ არჰანდი.

მ შ ვ ი დ ო ბ ა შ ი...

ქალაქის მოსახლეობის საცო-ფაცხოვრებო მომსახურების სა-მართველს №1 ატელიეს ოსტა-ტები რევიანთი ნახელავით, ლა-მანად შეეკერილი კაბებით, კო-სტიუმებით, პალტოებით სიამო-ვნებას ანიჭებენ დამკვეთებს.

საუკეთესო ოსტატებს შორი-საა შესანიშნავი მანდილო-სანი—რაისა გვაჩაია-კუკავა, რომელსაც ნახელავს უქებენ დამკვეთები. სამი ათეული წლის წინ სრულიად ახალგაზრდა მო-ვიდა საამქროში. აქვე დაოსტატა-წლებია განმავლობაში ვინ მოსოვლს რამდენი საქორწინო კაბა შეუქერია პატარძლები-სათვის, რამდენის გული გაუ-

სარბია და ლოცვასებით დაუ-ყოლებია მშვიდობაშიო...

მას პატვის მიაგებენ კოლქ-ტივში. ახალბედების დამრიგ-ებელს, ქალარა მანდილოსანს, სიყვარულით ეგებებიან თანა-მოსაქმნები. იყოს ასე დიდ-ხანს.

ბ. ასათიანი.

